ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის № 8 დადგენილების საფუძველზე , ქალაქ ქუთაისის საკრებულოში შეიქმნა და აქტუყრად ფუნქციონირებს გენდერული თანასწორობის საბჭო.იგი თავის საქმიანობას ანხორციელებს საბჭოს დებულებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. საბჭოს მიზანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის სფეროში კანონმდებლობით გათვალისწინებული აქტივობების უზრუნველყოფა.შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხილვა-დამტკიცება, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება.

1. საბჭოს დაკომპლექტება და წევრები :

2022 წელს საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა საკრებულოს წევრი მაგდა კოსტავა. საბჭოს დაემატა ორი თანამდებობა, გენდერული თანასწორობის საბჭოს მოადგილეების და გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის. საბჭო დაკომპლექტებულია 30 წევრით და მასში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმართველობა, მედია და არასამთავრობო სექტორი, ასევე, სამედიცინო სფეროსა და ბიზნესის წარმომადგენლები, ჯამში 25 ქალი და 5 მამაკაცი .

2. საბჭოს სხდომები :

განახლებული შემადგენლობით საბჭო შიკრიბა 2022 წლის მაისში და დღემდე ჩატარებული აქვს 9 სხდომა. სხდომაზე განხილული საკითხები საჯაროვდება გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საკრებულოს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდებზე ,ასევე , ადგილობრივი თვითმართველობის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.kutaisi.gov.ge .

3. საბჭოს დებულებაში განხორციელებული ცვლილებები :

გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური სრულყოფისათვის 2023 წლის აპრილისა, ივლისის და ნოემბრის თვეში, საბჭოს დებულებაში განხორციელდა

ცვლილებები. ცვლილებათა პაკეტი ეხებოდა წევრთა რაოდენობის გაზრდასა და ახალი წევრების მიღებას, ასევე , საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის წესს.

4. გენდერული თანასწორობის საბჭოს მისია :

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საბჭოს მისიაა ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შექმნის და აღსრულებას ქუთაისის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა, ქალების საჭიროებების, მოთხოვნებისა და ინტერესების გატარების გზით, საბჭოს ძლიერ, სანდო, გამჭვირვალე, თანასწორობის ეფექტურ, ინკლუზიურ და მდგრად ინსტიტუციად ჩამოყალიბებით.

5. საბჭოს სტრატეგიული მიზნები :

სტრატეგიული მიზნები ეფუძნება საბჭოს ხედვას და მისიას. მიზნები თავის მხრივ იყოფა ამოცანებად და აქტივობებად, რომელთა შესრულება მოხდება სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების და აქტივობების საშუალებით.

სტრატეგიული მიზანი N1: ეფექტური ინსტიტუციური საქმიანობა

გენდერული თანასწორობის საბჭო, ეფექტური საქმიანობით ახდენს მუნიციპალიტეტის საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე მორგებული გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავებას და გატარებას ადგილობრივ დონეზე.

სტრატეგიული მიზანი 2: ორგანიზაციული სისტემის გაძლიერება

გენდერული თანასწორობის საბჭო, უზრუნველყოფილია ორგანიზაციული სისტემებით. აქვს მკაფიოდ გაწერილი ორგანიზაციული პროცედურები, პროცესები და სათანადო კომპეტენციები, რომელიც ხელს უწყობს საბჭოს ძირითადი ფუნქციების შესრულებას და ინსტიტუციური მეხსიერების შენარჩუნებას.

სტრატეგიული მიზანი N3: ეფექტიანი კომუნიკაცია

გენდერული თანასწორობის საბჭოში ჩამოყალიბებულია მდგრადი პროცესი და ძლიერი გუნდი, რომელიც სტრატეგიული კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმების გამოყენებით, მუდმივად უზრუნველყოფს საბჭოს ინსტიტუციურ საქმიანობას და მისი რეპუტაციისა და იმიჯის გაძლიერებას სამიზნე აუდიტორიაში.

6. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ შემუშავებული 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა:

გენდერული თანასწორობის საბჭომ შეიმუშავა პოლიტიკის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა , რომელიც შექმნილია საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი საქართველოს (IFES) პარტნიორობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID -ის მხარდაჭერით. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N159 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს გენდერული პოლიტიკის დოკუმენტი, სტრატეგია და 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა.

სამოქმედო გეგმით განისაზღვრა თითოეული მიზნის ფარგლებში განსახორციელებელი სტრატეგიული ამოცანები , რომლებიც შემდეგნაირად ფორმირდა :

სტრატეგიული მიზანი N1: ეფექტური ინსტიტუციური საქმიანობა

- ✓ საბჭოს მიერ, ყოველწიურად, პრიორიტეტების განსაზღვრა და სამოქმედო გეგმის შემუშავება/განახლება მკაფიოდ გაწერილი მონიტორინგის მექანიზმებით.
- ✓ საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, კვლევითი სტანდარტის და მეთოდოლოგიის განსაზღვრა, სტატისტიკის განსაზღვრა .
- ✓ ყოველწლიურად გამოვლენილი პრიორიტეტების შესაბამისად, საბიუჯეტო პროცესში ჩართულობა/პროგრამების ინიცირება და გენდერული განზომილების ანალიზი.

სტრატეგიული მიზანი 2: ორგანიზაციული სისტემის გაძლიერება

- ✓ საბჭოს გაძლიერება და გააქტიურება გენდერული თანასწორობის, ცნობიერების ამაღლების და მგრძნობელობის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით.
- ✓ ფუნქციური და განმეორებითი, შიდა ორგანიზაციული საქმიანობის პროცესის აღწერა/განსაზღვრა.

- ✓ ადამიანური და ფინანსური რესურსებით გაძლიერება, მათ შორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახვა.

სტრატეგიული მიზანი N3: ეფექტიანი კომუნიკაცია

- ✓ პრაქტიკის გაზიარების მიზნით ჰორიზონტალური და ვერტიკალური კომუნიკაცია სხვა მუნიციპალიტეტების გენდერულ საბჭოებსა და საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან.

- ✓ აღსრულებადი საკომუნიკაციო სტრატეგია და დროში გაწერილი მკაფიო სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრულია სამიზნე აუდიტორია, ძირითადი საკომუნიკაციო მესიჯები და საკომუნიკაციო არხები, სტრატეგიის აღსრულების მონიტორინგის და შედეგების შეფასების მექანიზმები.

7. გენდერული თანასწორობის საბჭოს პრიორიტეტები :

- გენდერული თანასწორობის გაძლიერების ხელშეწყობა მონაცემებზე დაყრდნობილი პოლიტიკის წარმოებით.

- ქუთაისის მუნიციპალიტეტში გენდერული მეინსტრიმინგი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელების პროცესში.

- გენდერული თანასწორობის საკითხებზე უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერებისთვის კვლევის ჩატარება და კვლევაზე დაფუძნებით ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა.

- გენდერული თანასწორობის და ინკლუზიის ხელშეწყობა თანამშრომლობის და ცნობიერების ამაღლების გზით მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლებსა და საზოგადოებაში.

- ინფრასტრუქტურული, ჯანდაცვის და სხვა სერვისების გენდერული მეინსტრიმინგი.

- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა.

- ქალთა ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერების ხელშეწყობა.

8. გენდერული თანასწორობის საბჭოს შიდა გაძლიერებაზე მიმართული ღონისძიებები:

✓ გენდერული თანასწორობის შიდა გაძლიერებისა და საქმიანობის აქტიურად განხორციელების მიზნით, ხელშეკრულებით იქნა მოწვეული გენდერული თანასწორობის საბჭოს სპეციალისტი.

✓ სახალხო დამცველის აპარატის, თანასწორობის დეპარტამენტმა ჩაატარა ტრეინინგი, რომელშიც ჩართული ივნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები
თემა: „სექსუალურ შევიწროება და ამ მიმართულებით სახალხო დამცველის მანდატი".

✓ გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენელი და წევრები ჩართული იყვნენ პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში, თემა: „ ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესრულების სირთულეები მუნიციპალიტეტებში".

✓ ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის:„ერთად გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის დასაძლევად" - პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამუშაო შეხვედრა,შეხვედრაში მონაწილეობდა გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენელი.

✓ გაეროს ცენტრალური ოფისის ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა საბჭოს ორგანიზებით (UN Headquarter) ქალაქ ნიუ-იორკში 10-დან 14ივლისის ჩათვლით პოლიტიკური ფორუმი გაიმართა, ქუთაისის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, იგი მონაწილეობდა, როგორც CEMR -ის ახალგაზრდა არჩეული თანამდებობის პირთა კომიტეტის წევრი.
ფორუმის თემას, გლობალურად პანდემიის გავლენის შეფასება, კოვიდის შემდგომი რეაბილიტაციის დაჩქარებისა და 2030 წლისთვის მდგრადი განვითარების მიზნების (SDG20030) დაგეგმვა-განხორციელება და უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

9. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ჩატარებული ღონისძიებები :

- ✓ გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად ანხორციელებს ცნობიერების ამაღლების კუთხით აქტივობებს, აღნიშნულის ფარგლებში ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს და საქართველოს ადგილობრივ თვითმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) თანამშრომლობითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ჩატარდა სკოლამდელი აღზრდის 40 პედაგოგისთვის ტრენინგი თემაზე - "სკოლამდელი აღზრდის მეთოდოლოგიაში გენდერული პერსპექტივების ინტეგრირება".

- ✓ ქუთაისის გენდერული თანასწორობის საბჭო თანამშრომლობს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, თანამშრომლობის ფარგლებში ,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გაიმართა ტრენინგი სახელწოდებით : „ქალთა და გოგონათა ჩართულობა თანამედროვე ტექნოლოგიებში“ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA – Tech Park) თანამონაწილეობით .

- ✓ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს და სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ, ჩატარდა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებთან , საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრაზე განხილული იქნა: სექსუალურ შევიწროებასა და ამ მიმართულებით სახალხო დამცველის მანდატი.

- ✓ გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა, USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის განმახორციელებლებსა და საკრებულოს თვჯოდომარეს შორის,შეხვედრას ასევე ესწრებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.სამუშაო შეხვედრის ფარგლებში განხილეს სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მოსარგებლე მოწყვლადი ჯგუფების საკითხები, ინტეგრაცია და ეკონომიკური გაძლიერება, ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკა ამ მიმართულებით, გამოწვევები და შესაძლებლობები. პროცესებში გენდერული თანასწორობის საბჭოს როლზე .

10. ღონისძიება „ქალთა და გოგონათა ეკონომიური გაძლიერება“

გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის სამოქმედო გეგმის ერთ -ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ქალთა ეკონომიური გაძლიერების ხელშეწყობა. ამ მიზნით, 2023 წლის ივლისის თვეში,ქალაქ ქუთაისში ადმინისტრაციულ ერთეულებში გაიმართა შეხვედრათა ციკლი. შეხვედრებში ჩართული იყო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი, კოლეჯ „იბერიას“ წარმომადგენელი.მოქალაქეებს სრული ინფორმაცია მიაწოდეს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. შეხვედრების ციკლში ასევე მოწვეული იყო ,დასაქმების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი , რომელმაც მოქალაქეებს მიაწოდა ინფორმაცია შრომის ბაზარზე არსებული პერსპექტივებისა და გამოწვევების შესახებ.

11. ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საზედამხედველო ფუნქციის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები:

გენდერული თანასწორობის საბჭოს სახელით , საბჭოს თავჯდომარემ წერილობითი ფორმით მიმართა რამდენიმე სახელწიფო უწყებას , ქუთაისში მცხოვრებ მოქალაქეთა შესახებ ,გენდერულ ჭრილში , სხვადასხვა სახის ინფორმაციის გაზიარებასთან დაკავშირებით .

- ✓ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახური;
- ✓ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადამიანური რესურსების უზრუნველყოფის სამსახური;
- ✓ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანური რესურსების უზრუნველყოფის სამსახური;
- ✓ საჯარო რეესტრის ეროვნული ბიურო;
- ✓ სტატისტიკის ეროვნული ბიურო;
- ✓ სავაჭრო სამრეწველო პალატა;

12. გენდერული თანასწორობის აღმოფხვრის ხელშეწყობა:

ქუთაისის გენდერული თანასწორობის საბჭოს სოციალურ გვერდზე შეიქმნა განაცხადის მიღების ფორმა. მოქალაქეს რომელიც თვლის,რომ მისი უფლება დაირღვა გენდერული ნიშნით,შეუძლია კონფიდენციალური განაცხადის შევსებით,მომართოს გენდერული თანასწორობის საბჭოს, საბჭო მოახდენს განაცხადზე რეაგირებას კომპეტენციის ფარგლებში.

13. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

1. გათვალისწინებულ იქნას მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტში საბჭოს პრიორიტეტები:

- გენდერული თანასწორობის საკითხებზე უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერებისთვის კვლევის ჩატარება და კვლევაზე დაფუძნებით ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა;

- გენდერული თანასწორობის გაძლიერების ხელშეწყობა მონაცემებზე დაყრდნობილი პოლიტიკის წარმოებით;

- გენდერული თანასწორობის და ინკლუზიის ხელშეწყობა თანამშრომლობის და ცნობიერების ამაღლების გზით;

- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა;

- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა;

- ქალთა პოლიტიკური გაძლიერების ხელშეწყობა;

2. ქუთაისის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, გენდერული თანასწორობის, საბჭოს უწყვეტი საქმიანობის, გენდერული თანასწორობის საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად მოხდეს 2023 წლის ბიუჯეტში პროგრამული კოდის დამატება გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით.

3. 2024 წლის საბიუჯეტო პროექტში გათვალისწინებულ იქნას, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შენობების შშმ პირების საჭიროებების გათვალისწინებით ადაპტირება.

14. გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან გლობალურ კამპანიის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები :

- ✓ გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით დამზადდა პოსტერები რომლებზეც დატანილია ძალადობის წინააღმდეგ არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაცია.

- ✓ ცნობიერების ამაღლების მიზნით გაიმართა შეხვედრა, სააქციო საზოგადოება სამკერვალო „იმერში" დასაქმებულ თანამშრომლებთან, მათ მიიღეს ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ , ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში თითოეული მოქალაქის ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ.

- ✓ შეხვედრა გაიმართა ქუთაისის მუნიციპალიტეტში არსებულ თორმეტი ადმინისტრაციული ერთეულის თანამშრომლებთან, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ მოქალაქეებთან. მიეწოდათ ინფორმაცია ძალადობის ფორმებისა და ძალადობის წინააღმდეგ არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ . სახალხო დამცველის წარმომადგენელმა და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლებმა, ისაუბრეს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს გადაეცათ სპეციალური პოსტერები, რომლებიც განთავსდება ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში,რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეებს ჰქონდეთ ინფორმაცია, ძალადობის წინააღმდეგ არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს დაწვრილებითი ინფორმაცია, ქუთაისის მუნიციპალიტეტში არსებული, სახელწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის,ძალადობის მსხვერპლთა დახმარების კრიზისული ცენტრის ფუნქციონირების შესახებ.

- ✓ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებთან. განხილული იქნა სახალხო დამცველის აპარატის მანდატი და მათ პრაქტიკაში არსებული სხვადასხვა შემთხვევები . აქცენტები გაკეთდა საჯარო მოხელეთა მნიშვნელოვან როლზე,ძალადობის წინააღმდეგ არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციის მოქალაქეებისთვის გაზიარების მიზნით .

- ✓ შეხვედრა გაიმართა ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ მეჩეველთა საბჭოსთან.ახალგაზრდების წინაშე მოხსენებით წარსდგნენ იურიდიული დახმარების სამსახურის /Legal Aid Service ქუთაისის ბიუროს ხელმძღვანელი და საქართველოს ახლაგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის ხელნძღვანელი.შეხედრაზე

ყურადღება იქნა გამახვილებული ახალგაზრდების მნიშვნელოვან როლზე გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ.

- ✓ გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმძღვანელებთან და მეთოდისტებთან. შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა ბაღის პედაგოგების მნიშვნელოვან როლზე ძალადობის წინააღმდეგ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში მოქმედ 37 ბაღის ხელმძღვანელს გადაეცა პოსტერი როლზეც დატანილია ძალადობის წინააღმდეგ არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაცია.

- ✓ მერიის სამსახურის ხელმძღვანელების და სამსახურში ბიუჯეტის პროექტზე მომუშავე პირებისთვის ჩატარდა ტრეინინგი : **„გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება".**

ტრეინინგის ფარგლებში განხილული იქნება:

- გენდერული ბიუჯეტირების მნიშვნელობა და გენდერული საკითხების ინტეგრირება პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში;

- გენდერული ბიჯეტირების სამართლებრივი საფუძვლები;

- პროგრამული ბიუჯეტირებისა და გენდერული ბიუჯეტირების კავშირი;

- გენდერული ბიუჯეტირების ინსტრუმენტები;

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე:

მაგდა კოსტავა მ.კოსტავა